ხელის ჰიგიენის მდგრადი გაუმჯობესება - სამედიცინო დაწესებულებებში გასათვალისწინებელი დამატებითი ღონისძიებები

თუ თქვენს სამედიცინო დაწესებულებაში უკვე შექმნილია ხელის ჰიგიენის გაუმჯობების სტრატეგია, აუცილებელია ამ მიღწეული ტემპის შენარჩუნება.

ამ სამედიცინო დაწესებულებებს, სავარაუდოდ, უკვე აქვთ გრძელვადიანი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, რომ ხელის ჰიგიენის გაუმჯობესება პაციენტის უსაფრთხოების პრიორიტეტად დარჩეს. გრძელვადიანი დაგეგმვა ხელს შეუწყობს ცნობიერების მუდმივად ამაღლებას, დაფინანსების უზრუნველყოფას და მუდმივ გაუმჯობესებას.

თქვენმა სამედიცინო დაწესებულებებმა უკვე გაითვალისწინეს ჯანმოს ხელის ჰიგიენის გაუმჯობესების სტრატეგიის 5 კომპონენტი და შედეგად: შექმნეს საჭირო ინფრასტრუქტურა; გთავაზობენ მედიცინის პროფესიონალების ყოვლისმომცველ სასწავლო პროგრამას; აქვთ გარკვეული გეგმები ხელის ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ინფექციების რეგულარული მონიტორინგისა და შეფასების შესახებ; აქვთ მკაფიო შეხსენებები სამუშაო ადგილზე, ასევე ძლიერი და გამოხატული მხარდაჭერა ხელმძღვანელობის მხრიდან თქვენი ინიციატივების მიმართ.

ამ დოკუმენტში მოცემულია რამდენიმე შემოთავაზება დამატებითი ქმედებებისა და მეთოდების შესახებ, რომელთა განხილვა შეგიძლიათ თქვენი მიღწევების დასადგენად, დინამიკისა და მდგრადობის შესანარჩუნებლად. ეს დოკუმენტი ასევე შეიქმნა სხვა დაწესებულებებისთვის თქვენი გამოცდილების გადასაცემად. ჯანმო-ს პაციენტთა უსაფრთხოების გლობალური გამოწვევის პირველი ჯგუფი ძალიან დაინტერესებულია ნებისმიერი გეგმის ან სხვა დამატებითი ინიციატივის მოსასმენად, რომლებიც არ არის აქ ჩამოთვლილი.

შესაძლო დამატებითი საშუალებებისა და მოქმედებების ჩამონათვალი ამოუწურავია.

აქტივობა	**სპეციფიკაციები**
ელექტრონული სწავლება	ბევრი მიმდინარე სასწავლო პროგრამა მოიცავს პირისპირ კომუნიკაციას ინსტრუქტორსა და მსმენელს შორის. ყველა ასეთი ტრენინგის სრულად ჩანაცვლება არ შეიძლება ონლაინ მასალებით - მაგალითად, პრაქტიკული სემინარები და დემონსტრირება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ხელების სწორად დამუშავება ან დაბანა, უკეთესია პირისპირ ურთიერთობით და დისკუსიის საშუალებით. ელექტრონული სწავლება განსაკუთრებით სასარგებლო შეიძლება იყოს, როდესაც საჭიროა სამედიცინო მომსახურების

	მიმწოდებელთა დიდი ნაწილის ტრენინგი. დისტანციური სწავლების ეს ფორმა ასევე ამცირებს მასწავლებლის მიერ დახარჯულ დროს და ენერგიას და აადვილებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს. მედიცინის სფეროში ბოლო პერიოდში აღწერილია ელექტრონული სწავლების წარმატებული პროგრამები, რომლებიც გამოიყენება ტრადიციულ სწავლებასთან ერთად (შერეული სწავლება). ელექტრონული სწავლება უნდა იყოს სტრატეგია, რომელიც ავსებს სწავლების კლასიკურ მეთოდს და ასოცირდება მასთან. ზოგიერთ სამედიცინო დაწესებულებაში ელექტრონული სწავლების შეზღუდვები დაკავშირებულია არასაკმარის კომპიუტერულ საბაზისო უნარ-ჩვევებთან და პერსონალურ კომპიუტერებთან ან ინტერნეტზე შეზღუდულ წვდომასთან. ელექტრონული სწავლების მოდულის შექმნა შეიძლება ძალიან შრომატევადი იყოს და ამასთან ერთად ინსტრუქტორისგან გარკვეულ უნარებს მოითხოვს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის სასწავლო ელემენტები, რომელთა ნახვა და ჩამოტვირთვა შესაძლებელია მსმენელისთვის მოსახერხებელ დროს. ▪ საცნობარო ინფორმაცია სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების გამომწვევი პათოგენების გადაცემის შესახებ ▪ სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების ტვირთი მსოფლიოში ▪ სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების ტვირთი და ამ პროცესების გაუმჯობესებაზე თქვენს დაწესებულებაში შემუშავებული მეთოდების გავლენა ▪ სამედიცინო პერსონალის მოლოდინი თქვენს დაწესებულებაში ხელის ჰიგიენის მეთოდების გაუმჯობესების ინიციატივების გაზრდის შესახებ ▪ "ჩემი 5 მეთოდი ხელის ჰიგიენის შესახებ" მეთოდის მოდელირება ▪ კლინიკურ პრაქტიკსთან დაკავშირებული მოდელირება დამკვირვებლის კომპეტენციის ასამაღლებლად ▪ სხვა, ამ საკითხთან დაკავშირებული ჩასატარებელი სამუშაო

	ელექტრონული სასწავლო მასალების უპირატესობები ▪ მისი მოსმენა შესაძლებელია მსმენელისთვის მოსახერხებელ დროს ▪ პროგრამის შექმნის ხარჯები მინიმალურია ▪ შესაძლებელია დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი გახდეს ყველა, ახალი მუშაკისთვის, რითაც თავიდან აიცილებთ ტრენინგების დაგეგმვა/ჩატარებას თითოეული ახალი მონაწილისთვის, და ასევე, სასწავლო სესიის განმავლობაში, ნაკლები იქნება ალბათობა იმისა, რომ მსმენელი მეცადინეობას არ დაესწრება ▪ იოლად შესაძლებელია ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებებში მისი გავრცელება, რათა მათ დაეხმაროთ "ხელის ჰიგიენის" გაუმჯობესებაში ▪ გამოდგება მოტივაციისა და უკუკავშირის წყაროდ
სიმპოზიუმები, ლექციები, დებატები	სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციებისა და ხელის ჰიგიენის პროფილაქტიკის შესახებ მნიშვნელოვან საკითხებზე ლექციებმა ან სიმპოზიუმებმა შეიძლება ხელი შეუწყონ მედიცინის მუშაკთა მოტივაციას და შეახსენონ მათ "ჩემი 5 მეთოდი ხელის ჰიგიენის შესახებ" მეთოდის მნიშვნელობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი გახდება კლინიკურ შედეგებზე ზემოქმედების დემონსტრირება. მედიცინის მუშაკთა მოწვევა მონაწილეობისთვის, დებატების ფორუმის შექმნა და იმის დემონსტრირება, თუ როგორ გაიზარდა მათი ჩართულობის შედეგად ხელის ჰიგიენის დაცვა, შემცირდა სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციები და შესაბამისი მონაცემების არსებობის შემთხვევაში, შემცირდა ავადობა ან სიკვდილიანობა, ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს მუდმივ მოტივაციას და მხარდაჭერას. სავარაუდო თემები შეიძლება შეიცავდეს: ▪ ხელის ჰიგიენის დაცვის მუდმივი აქტუალურობა დაავადების შემცირებისათვის - ხალხმრავალ ბაზარზე ხელის ჰიგიენის საშუალებების გაყიდვა ▪ ხელის ჰიგიენა: ჯანმრთელობის დაცვის ყველა მუშაკის პასუხისმგებლობა მთელი ცხოვრების მანძილზე ▪ ჩვენს დაწესებულებაში მოქმედებს ხელის ჰიგიენის დაცვის სისტემა - რა არის შემდეგი? ▪ მონაცემთა ანალიზისა და უკუკავშირის შენარჩუნება და განმტკიცება დაწესებულების ფარგლებში

	▪ როგორ შეამცირა ხელის ჰიგიენის გაუმჯობესებამ სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციები, ავადობა და სიკვდილობა დაწესებულებაში - ხელის ჰიგიენის გაუმჯობესებული დაცვის შედეგად გადარჩენილი პაციენტების არსებობა ▪ "კავშირი" სხვა დაწესებულებასთან - როგორ შეგვიძლია ვისწავლოთ სხვებისგან და მივცეთ საშუალება სხვებს მიიღონ სარგებელი ჩვენი წარმატებებიდან ▪ ჩვენს დაწესებულებაში არის უამრავი რესურსი და სწავლების საშუალება, მაგრამ "ჩემი 5 მეთოდი ხელის ჰიგიენის შესახებ" პრინციპი არის 100% დაცული? არის ეს მიღწევადი და როდის? ▪ რომელია ყველაზე რთული მომენტები შესასრულებლად ჩვენს დაწესებულებაში? და რატომ? ▪ უნდა გაატაროს თუ არა დაწესებულებამ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ხელის ჰიგიენის დაცვასთან დაკავშირებით? ▪ უნდა მოეკიდნონ თუ არა მედიცინის მუშაკები პირადი პასუხისმგებლობით ხელის ჰიგიენის წესების დაცვას? ▪ როგორ დაინერგოს ან გაძლიერდეს პაციენტის ჩართულობის როლი და მათი უფლებამოსილების გაძლიერება ხელის ჰიგიენის დაცვასთან დაკავშირებულ ინიციატივებში?
თქვენი დაწესებულების მონაცემების დემონსტრირება / სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების დოკუმენტირებული გაუმჯობესების შესახებ	მონაცემების გაზიარება იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწია თქვენმა დაწესებულებამ ხელის ჰიგიენის გაუმჯობესებას და, განსაკუთრებით, თუ როგორ შეუწყო ხელი ამ გაუმჯობესებამ საერთო ფონის შექმნას, რომელიც ხელსაყრელია პაციენტის უსაფრთხოებისთვის და დადებითად მოქმედებს სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების (ავადობის / სიკვდილობის) შემცირებაზე: ▪ დაამატეთ ახალი ლიტერატურა ხელის ჰიგიენის მნიშვნელობის დასადასტურებლად ▪ დაეხმარეთ სხვა დაწესებულებებსა და მედიცინის მუშაკებს, გააცნობიერონ ხელის ჰიგიენის მნიშვნელობა, რათა შეიმუშაონ ეფექტური სამოქმედო გეგმა ხელის ჰიგიენის გასაუმჯობესებლად მთელს მსოფლიოში ▪ გაზარდეთ თქვენი დაწესებულების პროფილი, როგორც ცენტრი პაციენტთა უსაფრთხოებისა და ინფექციების

	კონტროლის საუკეთესო სტანდარტებით ▪ დაეხმარეთ თქვენს სამედიცინო პერსონალს, რომ განაგრძონ მცდელობები ხელის ჰიგიენის დაცვის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აბსტრაქტების წარდგენას რეცენზირებულ სამედიცინო ან ექთნებისთვის განკუთვნილ ჟურნალებში, ან თეზისების წარდგენას ადგილობრივ, ეროვნულ ან საერთაშორისო კონფერენციებზე, რადგან ეს იძლევა საცნობარო მასალას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას ჯანმოს მიერ პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ან სხვა სამედიცინო სპეციალისტების და ორგანიზაციების მიერ ხელის ჰიგიენის გაუმჯობესების პროცესისა და სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების შემცირების მართვისთვის.
სადისკუსიო ნაშრომები ხელის ჰიგიენის შესახებ	თქვენს დაწესებულებაში ხელის ჰიგიენის გაუმჯობესების შესახებ მონაცემების გამოქვეყნების გარდა, თქვენი სამედიცინო პერსონალი შეიძლება დაინტერესდეს მიმოხილვებით, სადისკუსიო ნაშრომებით ან კომენტარებით ხელის ჰიგიენასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე და მის როლზე ზოგადად პაციენტის უსაფრთხოების საქმეში. ამ ნაშრომებში შეიძლება განხილული იყოს ადგილობრივი, რეგიონალური ან ფართო აუდიტორიისთვის საინტერესო საკითხები.
პაციენტთა ჩართულობა და მათი უფლებების და შესაძლებლობების გაძლიერება	მაშინ, როცა ხელის ჰიგიენის შესახებ მთელი პასუხისმგებლობა მკაცრად ეკისრება სამედიცინო მუშაკს, როგორც ყოვლისმომცველი მულტიმოდალური ხელის ჰიგიენის გაუმჯობესების სტრატეგიის ნაწილს, პაციენტების ჩართვა ხელის ჰიგიენის გაუმჯობესებაში, მათ შორის მათი პოზიტიური წახალისება არსებული ხელის ჰიგიენის პირობების დაცვისთვის, ხელს შეუწყობს არსებული მიდგომის "ჩემი 5 მეთოდი ხელის ჰიგიენის შესახებ" გამოყენებას. ხელის ჰიგიენის სწორი დაცვა პაციენტის აზრის გათვალისწინებით, არის დაკავშირებული პაციენტის ნდობის ამაღლებასთან. პაციენტების ინფორმირებულობა ხელის ჰიგიენის შესახებ მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც გასათვალისწინებელია გრძელვადიან სამოქმედო გეგმებში. თუმცა, პაციენტთა ჩართულობისა და გაძლიერების სტრატეგიის წარმატებით ჩამოყალიბება მოითხოვს სამედიცინო მუშაკების სრულ

	მხარდაჭერას დაწესებულების/ორგანიზაციის ყველა საფეხურზე. შეიძლება საჭირო გახდეს საინფორმაციო სესიების მოწყობა , რათა თანამშრომლები დაარწმუნონ სტრატეგიის მიზნების მნიშვნელობაში, ანუ პაციენტებისთვის ზიანის მიყენების შემცირებაში, ამასთანავე მათი სრული მხარდაჭერის მისაღებად. ჯანმოს სახელმძღვანელო "ხელის ჰიგიენის შესახებ ჯანდაცვის სისტემაში"(2009) გვთავაზობს , რომ მოხდეს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოება ხელის ჰიგიენის პირობების გაუმჯობესების კონტექსტში. პაციენტების ჩართულობის და მათი უფლებების და შესაძლებლობების გაძლიერებისთვის ინიციტივა შეიძლება მოიცავდეს: ▪ ინდივიდუალური და ორგანიზაციული დახმარების ძირითადი ქსელის შექმნა, მათ შორის მედიცინის მუშაკების, საზოგადოებრივი ლიდერების, მედიცინის მოწინვე წარმომადგენლების, პაციენტების ინტერესების დამცავი მუშაკების და კონსულტანტების ჩათვლით ▪ პაციენტთა გამაერთიანებელი ორგანიზაციების მოზიდვა მათ მიერ დაფინანსების ლობირებისთვის გრძელვადიანი ინიციატივების მხარდასაჭერად ▪ პაციენტებისათვის საინფორმაციო ფლაერების/ პოსტერების წარდგენა საკვანძო პუნქტებში მათი შემოსვლისთანავე და დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში, რათა ინფორმირებული იყვნენ ხელის ჰიგიენის შესახებ და გააცნობიერინ თავიანთი როლი ხელის ჰიგიენის პოპულარიზაციისთვის - პაციენტების / პაციენტების ჯგუფების ჩართვა ამ მასალების განვრცობაში ▪ დამკვირვებელთა პროტოკოლის შემუშავება გთხოვთ აგრეთვე იხილოთ "სახელმძღვანელო პაციენტებისა და პაციენტთა გამაერთიანებელი ორგანიზაციების მოზიდვა ხელის ჰიგიენის ინიციატივის პროცესში ჩასართავად ", სადაც მოცემულია შემდგომი დეტალური მითითებები, თუ როგორ უნდა იურთიერთობოთ პაციენტებთან და პაციენტთა ორგანიზაციებთან.

გამოცდილების გაზიარება დაწესებულების შიგნით	უფროსი მენეჯერების ან სხვა მაღალკვალიფიცირებული და პატივსაცემი მედიცინის მუშაკების წახალისება, რათა გაუზიარონ ხელის ჰიგიენის გამოცდილება ახალ ან უმცროს სამედიცინო მუშაკებს, არის სამოტივაციო და ინფორმაციული, ამასთანავე ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც აღწერილია ჯანდაცვის სახელმძღვანელო მითითებებში ჯანმრთელობის ჰიგიენის შესახებ (2009), რაც გავლენას ახდენს ხელის ჰიგიენის წესების დაცვაზე. კერძოდ, ეს აღწერილია, როგორც დადებითი გავლენა სამედიცინო პერსონალზე. ქვემოთ მოცემულია პოტენციური საქმიანობის რამდენიმე მაგალითი. **მეგობარი** შეიძლება გამოყენებულ იქნას სისტემა „მეგობარი“, რომლის მიხედვითაც თითოეული ახალი თანამშრომელი დაუწყვილდება გამოცდილ სამედიცინო მუშაკს, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს შემდეგ საკითხებზე: ▪ ხელის ჰიგიენის მნიშვნელობის ხაზგასმა და "ჩემი 5 მეთოდი ხელის ჰიგიენის შესახებ" მიდგომის განმარტება ▪ დაწესებულების ხელის ჰიგიენის ინიციატივების / პოლიტიკისა და სახელმძღვანელო მითითებების განმარტება (და ნებისმიერი ჯარიმა / ჯილდოს / წესების დაუცველობისთვის/დაცვისთვის) ▪ დაწესებულების მონაცემების გაზიარება, რომლებიც აჩვენებს ხელის ჰიგიენის დაცვაში პროცესების წინსვლას და რა გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციები, ავადობისა და სიკვდილობის შემცირებაზე. ▪ ხელის ჰიგიენისთვის საჭირო რესურსები დაწესებულებისათვის ▪ ხელების დაბანის და დამუშავების სწორი ტექნიკის დემონსტრირება, განმარტება, თუ როდის უნდა იქნას გამოყენებული ხელთათმანები ▪ შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და სასწავლო მასალებით ახალი თანამშრომლის აღჭურვა "ჩემი 5 მეთოდი ხელის ჰიგიენის შესახებ" სისტემა „მეგობარს'' შეუძლია ხელი შეუწყოს როგორც ახალ, ისე ძველ მუშაკთა ხელის ჰიგიენის ოპტიმალურ დაცვას.

შიდა საინფორმაციო ბიულეტენი

სამედიცინო მუშაკებზე დარიგებული ბიულეტენების გამოყენება შეიძლება შემდეგნაირად:

- აქტუალური ინფორმაციის მიწოდება ხელის ჰიგიენის ინიციატივებისა და გაუმჯობესების შესახებ
- გამოარჩიეთ შემთხვევები, ინდივიდუალური პირები, გუნდები ან დანაყოფები, რომლებმაც განსაკუთრებული შედეგები აჩვენეს - ანუ კარგი პრაქტიკის აღიარება
- დააანონსეთ მომავალი ტრენინგები, პრეზენტაციები, დებატები ან პუბლიკაციები

პრეზენტაციები სადილის დროს

მოკლე პრეზენტაციები, რომელსაც მართავენ ცალკეული დანაყოფების წარმომადგენლები ან ძირითადი მუშაკები, შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სამოტივაციო და საგანმანათლებლო მეთოდი. ასეთი პრეზენტაციები შეიძლება იყოს:

- ხელის ჰიგიენის შესწავლის საკითხები მათ დანაყოფებში
- ახსენით, თუ როგორ წყდებოდა ეს საკითხები
- აღწერეთ პროცესის გაუმჯობესება და მიღწეული პროგრესი
- განიხილეთ საკვანძო საკითხები, რომლებიც გამოიკვეთა სასწავლო პროცესიდან

გაითვალისწინეთ შემდეგი ნაბიჯები და სამომავლო გეგმები

ფოკუს ჯგუფები

ფოკუს ჯგუფის მეთოდი შეიძლება დაეხმაროს იმ სამედიცინო პერსონალს, რომლიც დაესწრო ხელის ჰიგიენის რეგულარულ ტრენინგებს.მათ შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი აღქმა, დამოკიდებულება, შეხედულებები და ხელის ჰიგიენასთან დაკავშირებული სირთულეები, განსაკუთრებით კონკრეტული ჩვენებების შემთხვევაში და განიხილონ მათთან დაკავშირებული მოსალოდნელი სირთულეები და ფასილიტატორთან ერთად განიხილონ მათი ქცევითი ცვლილებები. ფოკუს ჯგუფების არჩევა უნდა ჩატარდეს პალატის / განყოფილების დონეზე, რათა მოხდეს ყოველდრიური, ადგილობრივი პრაქტიკის განხილვა. ამ ჯგუფებს ხელმძღვანელობს ფასილიტატორი. იგი უნდა იყოს გაწვრთნილი სპეციალისტი, რომელსაც აქვს ხელის ჰიგიენის

	მართვის გამოცდილება და მისაბაძია მთელი პერსონალისთვის. **შიდა მაჩვენებელი** დაწესებულებებში რეგულარულად ახდენენ პრეზენტაციების ორგანიზებას (ყოველწლიურად მაინც). ეს შეიძლება ემთხვეოდეს ყოველ 5 მაისს, როცა თითოეულ შეიძლება გამოყონ კონკრეტული უბნები: ▪ ხდება ხელის ჰიგიენის ეფექტური დემონსტრირება მათ დანაყოფში ▪ ხსნიან, როგორ ცდილობენ მიაღწიონ თავიანთ გრძელვადიან მიზნებს "ჩემი 5 მეთოდი ხელის ჰიგიენის შესახებ" მიდგომის დასაცავად. ▪ ახდენენ ინფორმაციის დემონსტრირებას პოსტერების საშუალებით და საუკეთესო გამოცდილების საფუძველზე ▪ წარმოადგენენ (არაფორმალურად) მონაცემებს მიდგომის "ჩემი 5 მეთოდი ხელის ჰიგიენის შესახებ" გაუმჯობესების და / ან კარგად დაცვის შესახებ
გამოცდილების გაზიარება დაწესებულების გარეთ	დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელის ჰიგიენას, შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ თავიანთი გამოცდილების გაზიარებით ადგილობრივი ან სხვა ქვეყანის დაწესებულებისათვის ხელის ჰიგიენის გაუმჯობესების ადრეულ ეტაპზე. ასეთი პროგრამები ხელს შეუწყობს ხელის ჰიგიენის გაუმჯობესების და სიცოცხლის გადასარჩენის გლობალურ ძალისხმევას, ასევე თქვენი დაწესებულების პროფილის ამაღლებას . გამოცდილების გაზიარების რამდენიმე შესაძლებლობა მოიცავს: • თქვენი გამოცდილების შესახებ თემატური კვლევის მომზადება წარმატების სადემონსტრაციოდ სხვა დაწესებულებებში მსოფლიოს მასშტაბით, რომელსაც ჯანმო პაციენტის უსაფრთხოების მიზნით იყენებს . ○ იგი განთავსდება ჯანმოს პაციენტთა უსაფრთხოების ვებგვერდზე (www.who.int/gpsc/5may/en/) ○ თემატური კვლევის დოკუმენტის შაბლონთან წვდომისთვის ეწვიეთ ვებგვერდს

	www.who.int/gpsc/5may/en/ ○ იყავი კრეატიული! იფიქრეთ თქვენი შესანიშნავი ნამუშევრების ვიდეო მასალის გამოგზავნაზე. იხილეთ მაგალითები www.youtube.com ▪ დაუკავშირდით თქვენს ადგილობრივ ხელისუფლებას / ჯანდაცვის განყოფილებას და მაგალითად: ○ შესთავაზეთ თქვენი თეამატური კვლევის წარდგენა სხვა დაწესებულებებისათვის ○ დაარწმუნეთ სხვა დაწესებულებების მედიცინის მუშაკები, რათა მოინახულონ თქვენი დაწესებულება, რომ მეტი გაიგონ ხელის ჰიგიენის შესახებ • სხვა დაწესებულებასთან ,,დაძმობილება'', რათა დაეხმაროთ მათ: ○ ხელის ჰიგიენის მნიშვნელობის გაგებაში ○ შექმენით ეფექტური გეგმა ხელის ჰიგიენის გასაუმჯობესებლად ○ უზრუნველყავით ნებისმიერი აუცილებელი რესურსის დაფინანსება ▪ სასწავლო მასალების გაზიარება (მაგ. ელექტრონული სწავლების საშუალებების) ▪ ხელის ჰიგიენის გაუმჯობესების მონაცემების გამოქვეყნება რეცენზირებულ ჟურნალებში ან მონაცემების წარმოდგენა ადგილობრივ, ეროვნულ ან საერთაშორისო კონფერენციებზე ▪ დაუკავშირდით სამედიცინოსფეროში ადგილობრივი პროფესიონალური გამოცემის რედაქტორს. ○ მოუყევით მათ თქვენი მიზნებისა და წარმატებების შესახებ ○ ჰკითხეთ მათ, სურთ თუ არა ამის შესახებ სტატიის დაწერა და შემდეგ გამოცემაში განთავსება - თუ არა, ჰკითხეთ მიიღებენ თუ არა თქვენს მიერ დაწერილ სტატიას!
მედიცინის უშაკთა პირადი ანგარიშვალ	თუ დაწესებულებამ გამოიყენა ყველა შესაძლო რესურსი ხელის ჰიგიენის უზრუნველსაყოფად, მას შეუძლია განიხილოს საკითხი სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობის შესახებ წესების დაუცველობის შემთხვევაში.

დებულება და/ან დაჯილდოება ხელის ჰიგიენის წესების დაცვისთვის	ხელის ჰიგიენის კარგი პრაქტიკის აღიარება და ხელის ჰიგიენის "ჩემი 5 მეთოდი ხელის ჰიგიენის შესახებ" მნიშვნელოვანია მოტივაციისთვის. მას ასევე შეუძლია ხელი შეუწყოს ჯანსაღ კონკურენციას პერსონალს შორის, რაც ხელს შეუწყობს ხელის ჰიგიენის წესების გამკაცრებას მთელი დაწესებულების მასშტაბით. გაითვალისწინეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია წარმატებული ხელის ჰიგიენის აღიარება (და დაჯილდოება) თქვენს დაწესებულებაში, ან მაგალითად: ▪ ხელის ჰიგიენის ჩართვა სამედიცინო მუშაკების პირად გეგმებში , რაც დაკავშირებულია კარიერის განვითარებასთან ▪ კონკურსების ორგანიზება, როგორიცაა პოსტერების ან სხვა ვიზუალური მასალის მომზადება ცალკეული სამდიცინო მუშაკების ან ჯგუფების მიერ და საუკეთესოების დაჯილდოება (ვიზუალური ეფექტის მიხედვით, კონცეპტუალური თანმიმდევრულობა, გამოყენებადობა) ▪ 5 მაისს ჩატარებული ღონისძიება, რათა საჯაროდ აღიარონ ძირითადი თანამშრომლები / გუნდები / დანაყოფები / დეპარტამენტები "ჩემი 5 მეთოდი ხელის ჰიგიენის შესახებ" მიდგომის კარგად დაცვის მიზნით. o ეს შეიძლება მოიცავდეს დაჯილდოების ცერემონიალს ▪ განცხადებები შიდა ბიულეტენებში ან ფორმალურ / არაფორმალურ შეხვედრებზე

წყარო:http://fha.org/files/hiin/Soap-up-WHO_Sustaining_Improvement.pdf